

№ 9 ივნისი 1935 წ.

ფასი - 50 ს.

სიანკო



საშფო სოფელი ზოგიერთ შეფებს მარტო ზაფხულობით აგონდებათ

შეზი: — გაუმარჯოს მომავალი წლის ამისთანა მშვენიერ ზაფხულს, როდესაც ჩვენ ერთმანეთს ამ მშვენიერ
წალკოტზე მეორეთ შევხვდებით.



დასვენება ახლოვდებოდა, როდესაც მეზობელმა მუშამ მალაქიას გადმოსძახა:

— მალაქი, ქარხნომმა ჩემთან შემოიარეო! მალე საყვირი აგუჯუნდა, საამქროში ხმაური თანდათან მინელდა და მუშები სასადილოსაკენ გაეშურენ საუზმისათვის.

მალაქია ქარხნომისაკენ გაემართა.

— ვიცი, ისევ ტექამოცდაზე დამიწყებს ჩიჩინს... ფიქრობდა მალაქია, როდესაც ქარხნომის ოთახში შედიოდა და არც მოსტყუვდა.

— მალაქია!.. აჭრიალდა იმ წამსვე ქარხნომი, რას გვიშვებთ ამას... ძველი, გამოცდილი მუშა... შეგნებული... საუკეთესო დამკვერელი და უარს ამბობ ტექცოდნის ჩაბარებაზე... მაშინ რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვებს!..

— სწორედ სხვებს უნდა მოსთხოვო! — შეუტია მალაქიამ, აბა, რატომ უნდა ჩავაბარო?.. მანქანა არ ვიცი?.. ცუდად ვმუშაობ?.. გეგმას არ ვასრულებ?.. სხვები მჯობნიან, თუ რაშია საქმე!..

— ჩააბარე მერე კაცო!.. რაზე მახვეწნიებ ამდენს!.. შეემუდარა ისევ ქარხნომი.

— არა!.. დაასვა ნათქვამზე ბეჭედი მალაქიამ და კარში გამოვიდა.

— რა მოუხერხო ამ კაცს აღარ ვიცი — აილაპარაკა უიმედოდ ქარხნომმა.

* * *

მეორე დღეს, ქარხნომი თვით შემოვიდა საამქროში და დიდხანს ტრიალებდა მალაქიას ახლო-მახლო. მალაქიამ იცოდა, თუ რა მუცლის გვრემა ქონდა ქარხნომს, ამიტომ განგებ არ ამჩნევდა მას, თვალს არ აშორებდა დაზგას და საქმით გართული ლილინებდა:

ავთანდილ გადინადირა ქელი მალაქი ტყიანი, ვერ მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.

— მალაქია, — მიმართა ისევ ქარხნომმა: — ერთ რამეზე უნდა მოგელაპარაკო, მოდი მერე ჩემთან. მალაქიას თითქოს არც გაუგონია, მაგრამ საყვირის შემდეგ მაინც გადაუხვია ქარხნომის ოთახისაკენ.

* * *

ქარხნომს გვერდით ვილაც ახალგაზრდა უდგა.

— კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდა... თქვა ქარხნომმა, ძალით ცხონებაც არ შეიძლება, მხოლოდ ერთი დავალიანება გეძლევა. აი, ეს ახალგაზრდა უნდა აიყვანო ბუქსირზე და ტექამოცდებისათვის მოგვიმზადო, მაგრამ არა ნაკლებ „ფრიაღზე“... არც ამაზე ხარ ყაბული?..

გუნებაში მალაქია ნასიამოვნები იყო. ერთი იმიტომ, რომ თავისი გაიტანა და, მერე კიდევ იმიტომ, რომ ასეთი საპატიო დავალება მისცეს. მაინც უგემურად უპასუხა:

— ეს... შეიძლება...

— მაშ, აი ეს წიგნები, აი ეს ახალგაზრდა — ყოჩალი ბიჭია — და აწი თქვენ იცით! ჩაიციხა ქარხნომმა და მალაქია თავისი მოწაფით კარში გამოისტუმრა.

— ჩვენ მთ ვუჩვენებთ, როგორ უნდა ჩაბარება! — ჩაიციხა ახლა მალაქიამაც და ახალგაზრდას ბეჭეზე ხელი დაკრა.

იმ საღამოიდანვე შეუდგენ მეცადინობას. მოწაფე საკმაოდ ნიჭიერი აღმოჩნდა და ადვილად ითვისებდა წიგნში წაკითხულს და მალაქიას განმარტებებს, მაგრამ ერთი ცუდი თვისება აღმოაჩნდა — ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. ბოლოს ისეთი შეკითხვები მისცა მალაქიას, რომ იგი სახტად დარჩა.

ტექამოცდაზე

ნახ. გ. ლომიძის



— იცი რა... მოლოჭრა სიმწრის ოფელში გაწურულმა მალაქიამ, მბეჭატებებს — თავის დროზე დაგამუშავებთ, ახლა — კარგად შეგნებთ... თავით... მხოლოდ ეგ წიგნები აქ დამიტოვე... თუ ბიჭი ხარ, ისე დაიხსომე ყველაფერი, თორემ წიგნში წაკითხვა ყოველ ჩერჩეტსაც კი შეუძლია!..

მოწაფეს ცოტა ეოცა სწავლების ასეთი მეთოდი, მაგრამ არაფერი უთქვამს.

იმ დამეს მალაქიას თვალებს ძილი არ მიკარებია, სანამ არ ამოიკითხა წიგნებიდან ყველა მოცემული შეკითხვების პასუხები.

მეორე საღამოს იგივე განმეორდა. ახალგაზრდამ კიდევ უფრო მოლოხშირა ისეთ შეკითხვებში მიცემას, რომლებზედაც მალაქია ვერ აძლევდა პასუხებს. ყველაზე გასაბრაზებელი ის იყო, რომ კითხვები თითქოს მარტივი იყო და ეხებოდა მის ხელობას.

— დასწყევლოს ეშმაკმა!.. ნანობდა მალაქია. ეს რა ხათბალას გადაევიდე... მაგრამ უკვე გვიან იყო და მალაქია თავს იმტვრევდა წიგნებზე, რომ სახელი არ გატეხოდა მოწაფის თვალში. ხანდისხან როდესაც გაუჭირდება, მოხერხებულად გამოკითხავდა ხოლმე ქარხნის ინჟინერს საქირო ცნობებს.

მაახლოვდა გამოცდების დღე. შემოუსხდენ მაკიდას ინჟინრები, პარტკომი. ქარხნომი და სხვები.

დარბაზი სავსე იყო მუშებით. — მოვიდა მალაქიას ახალგაზრდას ჯერიც. მალაქია განაბული იჯდა პირველ რიგში.

ქარხნომმა ინჟინრებს გადახედა. — პირველი შეკითხვა უბრალო იყო და კარგათ ჰქონდათ დამუშავებული მალაქიას და მის ახალგაზრდას, ამიტომ მალაქიამ შევებით ამოისუნთქა.

მაგრამ ახალგაზრდამ ისეთი უცნაური რამ თქვა, რომ მალაქიამ ველარ მოითმინა და წამოიწია.

— აი, შე!.. განა მაგრე ვისწავლეთ ჩვენ? — და გაბრაზებულმა მალაქიამ თვით გადმოალაგა, თუ როგორ ისწავლეს მათეს.

— სწორია... სწორია! — თავს აქნევდენ ინჟინრები.

შეკითხვები შეკითხვებს მოსდევდა. ახალგაზრდა დაბნეული იდგა დაფასთან და წარმოუდგენელ რამეებს როშავდა. უწინ, შეიძლება მალაქიასაც ვერ გაეცა სწორი პასუხები ასეთ შეკითხვებზე, მაგრამ ახლა კი...

რომ თავისი თავი მაინც გამოეყვანა სირცხვილისაგან, მალაქია თვით აძლევდა განმარტებებს თავის მოწაფის არასწორ პასუხების შემდეგ.

— სწორია... სწორია! — აქნევდენ თავს ინჟინრები და ხშირად გადახედავდენ ხოლმე ქარხნომს.

ბოლოს მალაქიამ ველარ მოითმინა ასეთი სირცხვილი და გაბრაზებული კარებისაკენ გაექანა. უკან შემზარავი ხარხარი დაედგინა.

დილას მალაქია გაწიწმატებული შედიოდა ქარხნის ეზოში, რომ უეცრად ქარხნომს შეეჩხა.


— ყოჩაღ, მალაქია!.. „ფრიადი“!..

— როგორ, ფრიადი?.. ერთ კითხვაზე არ გაუცია სწორი პასუხი... და ფრიადი!.. აი, რა ყოფილა თქვენი ფრიადი!..

— იმას კი არა, შენ... შენ მალაქია ფრიადი!.. ეს ხომ შენი ტექცოდნის ჩაბარება იყო... არ გეწყინოს და... იმ ახალგაზრდას შენზე უწინ ქონდა ჩაბარებული „ფრიადი“... ყანილად არ უპასუხებდა... ხა... ხა... ხა!..

— ვერაგებო! — ეს-ლა სქევა დამარცხებულიმა მალაქიამ და ამაყად წავიდა თავის საამქროსკენ.

გამომცემელი: — ვთქვით, თქვენს უბანში საქმე კარგად არის... ვერც ერთი გატეხილი რელსი ვერ აღმოაჩინეთ... დაკმაყოფილებით ამით?..
გზის დარბაზი: — არა!.. სხვა უბანში გადავალ... კარგ უბნისათვის იზვიათად თუ დამასაჩუქრებენ... ყოველ ნაპოვნ გატეხილ რელსით კი ჯილდოს მივიღებ.



ვ. კროტკოვი

— მამილო, რადიო მინდა! არ წამოვალ, სანამ ამ რადიოს არ მიყიდი.

„კეთილი გულით“..

მთელ რაიონში აბესალომ ვარდენის ძე ყოფაძე გამოირჩეოდა გადაჭარბებული გულკეთილობით. არ ყოფილა შეუთხვევა ვინმეზე, ან ვინმესთვის ცუდი ეთქვას, ან ცუდი გაეკეთებოდა. აბესალომის გულკეთილობა იქამდისაც კი მიდიოდა, რომ ანტისაბჭოთა ზოგიერთი ფარული ელემენტები აბესალომის ყურადღებით და დახმარებით სარგებლობდნენ.

— წაქცეულს არ სცემენ, — ხშირად გაიგონებდით მისგან. ჩვენი ხელისუფლება აბესალომს პატივს სცემდა და აფასებდა მის რევოლუციური წარსულის გამო.

აბესალომ ყოფაძე რესპუბლიკანური მნიშვნელობის წარმოების ხელმძღვანელი იყო, პასუხისმგებელი და გავლენიანი პიროვნება. მის მიმართ ხშირად გაიგონებდით:

— რა კარგი ადამიანია, გულკეთილი...

— კაცო, თხოვე აბესალომს და ხელათ გაგიკეთებს.

შენ კი არა დასახვრეტ ხალხს შეველის.

— ახ, კაკოი სიმპატიჩნი, ახ, „კაკოი დუშკა“ ჩაუპარუსკებდნენ ერთმანეთს ყოფაძის „თაყვანისცემელნი“ ლამაზმანები.

სამსახურში ან ბინაზე, რომ მასთან მისულისავეთ მისაღებ ოთახში ნახავდით რიგში ჩამდგარ „ჩაკრასკულ—ჩაბუდრულ“ ქალებს, რომლებიც სხვადასხვა „საქმეებისათვის“ ესწრაფოდნენ აბესალომის ნახვას.

ერთხელ აბესალომის ახლობელმა მეგობარმა ეხუმრა მას:

— მომილოცავს აბესალომ ახალი თანამდებობა, შენ დანიშნული ხარ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარეთო.

აბესალომმა ხუმრობას ვერ მიხვდა, სიმართლე ეგონა და მეგობარს მადლობა გადაუხადა.

აბესალომის კაბინეტში საწერ მაგიდაზე თქვენ შეამჩნევდით იშვიათ ნივთებს, რომლებიც მიძღვნილი ქონდა მას სხვადასხვა პირებისგან.

ნივთებზე თქვენ წაიკითხავდით წარწერებს: „იშვიათ ადამიანს, ჩვენს საყვარელ და ძვირფას აბესალომს“.

„კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“ და სხ.

2.

ლამის თორმეტი საათი იქნებოდა მემანქანე ქალი მარგარიტა ვახტანგის ასული დადგეშელიანი, რომელიც ღარიბაშვილის (ყოფილი ქმრის) გვარს ატარებდა, უჯდა თავის საწერ მანქანას აბესალომის მისაღებ ოთახში და გულისფანტქალით მოელოდა აბესალომის მოსვლას.

ქალს ეტყობოდა ალღელება, მან ტელეფონის მილი აიღო.

— მომეცით 2—3,000... საიდან არის?

თხოვეთ ამხანაგ აბესალომს.

აა, თქვენ ბრძანდებით აბესალომ ვარდენოვიჩ?

თქვენ გელაპარაკებთ მარგარიტა, დაგიცადოთ? ნახევარ საათში?

სიამოვნებით... როგორ? აა, მესმის.

მემანქანე ქალმა ტელეფონის მილი ჩამოკიდა, მის ლოყებს ალმური მოედო, თვალები სიხარულისაგან აენთო და აბესალომის კაბინეტში „ფოქსტროტის“ კეკვით შესრიალდა.

სწორედ ნახევარი საათის შემდეგ კაბინეტისკარი გაიღო და გამოჩნდა აბესალომ ყოფაძე.

— ბოდიში ჩემო მარგარიტა, ჩემდა უნებლიედ დავიგვიანე პაპატიეთ.

ეგებ ფიქრობდით არ მოვიდოდით?

თავაზიანათ მიმართა აბესალომმა მემანქანე ქალს და ხელზე ეამბორა.

— აბა, რას ბრძანებთ აბესალომ ვარდენოვიჩ, აზრადაც არ მომსვლია რომ თქვენ...

მემანქანე ქალმა თავი ჩალუნა.

— რაო, რაო, აზრადაც არ მოგსვლიათ, აა, მივხვდი, მივხვდი...

არა, ჩემო მიწიერო ანგელოსო, აბესალომს არ ჩვევია დაპირების შეუსრულებლობა.

მან უბის ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო და მარგარიტას მჯაჯაზე გაუკეთა.

— დღეს ეს და ხვალ სხვა იყოს.

კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების...

ოდნავ გასაგონი ხმით ჩასჩურჩულა აბესალომმა მემანქანე ქალს, რომელიც მის გულმკერდს მაგრად ჩაკვროდა...

3.

ამ დღეებში აბესალომ ყოფაძის საქმე იჩივდა.

მას ბრალდებოდა კომუნისტური სოფიზმის მოღუნება, აპარატში საბჭოთა წყობილების მტრების ყოლა, კომუნისტური მორალის დაკარგვა და სხვა...

მრავალ ფაქტებს შორის მოყვანილი იყო მემანქანე ქალთან მისი დამოკიდებულება. მარგარიტა ღარიბაშვილი აღმოჩნდა ემიგრაციაში მყოფი თავად დადგეშელიანის ქალი, რომელიც მავნებლური მიზნით მოეწყო აბესალომ ყოფაძის აპარატში...

აბესალომ ყოფაძე თავს „იმართლებდა“ მით, რომ ის გულკეთილი კაცია, რომ მისი გულკეთილობით სხვებმა ისარგებლეს, და სხვა. ის არ ცნობდა თავს დამნაშავედ, და აცხადებდა, რომ მან არაფერი იცოდა, თუ რა კეთდებოდა მის გარშემო.

საკონტროლო ორგანომ აბესალომ ყოფაძე დამნაშავედ იცნო, პარტიის რიგებიდან გამოაციხა და მოხსნა საპასუხისმგებლო სამუშაოდან...

H₂O

ანუ ერთი გურძაზიანი ბრძენის თავადასაჯი.

ამ ფელეტონს გაუკეთე
ქიმიური სათაური.
ზოგი იტყვის გაკვირვებით:
საიდან და სადაური.
სად ლექსი და სად ქიმია,
გალსტუკი და ინდაური?
ვის დასჭირდა, რათ დასჭირდა
საქმე ასე უცნაური.
მაგრამ საქმე არც ისეა,
როგორც ზოგზოგს ეჩვენება.
დავამტკიცოდ უნდა ეს და,
გთხოვთ მკითხველო, მოგვეცეთ ნება.

პირველ კურსის სტუდენტს ერთხელ
მოუწია წასვლა სოფლად.
დედის გარდა არვინ ჰყავდა,
იზრდებოდა კაცი ობლად.
და რომ მეტი ჰქონებოდა
ხმა და წონა მის სოფელში;
გაეხვია იგი დინჯად
რთულ სიტყვათა სამოსელში.
უცხო-უცხო სიტყვათა თქმით
გაუჭირა საქმე დედას.
მაგრამ დედა რა დედაა,
შვილს თუ წყენას გაუბედავს.

ერთ დღეს კაცი ავად გახდა,
ორმოცამდე მისცა სიცხე.

ავადმყოფი, ვინ არ იცის,
რომ სიცხეში ბოდვას იწყებს.
სწუხს რაღაც და ორი დღეა
ყვირის: რისთვის გამაწვალეთ?
აშ-ორი-ო მინდა დედაე
აშ ორი-ო მასვით მალე.

საწყალ დედას ჯავრისაგან
დაეკარგა სულაც ცნება
ფიქრობს ვერა გაუგია
„აშ-ორი-ო“ რა იქნება.

— შვილო, შვინდის სირობი
გსურს?

ალუბალის გინდა იქნებ? —
მოკრძალებით ეკითხება.
(შვილი ვართ სულ ხელს იქნევს).

— აბა, შვილო, რძე არ გინდა?
ან იქნება გსურს წიწილა?

ქაში გინდა, შენ გიყვარდა
ბავშობისას კვერცხის ცილა?!

— აშ-ორი-ო, ბევრს არა გთხოვთ.
აშ-ორი-ო მომაწოდეთ!

ნუ წუწუნებ დედაჩემო,
მაგ ბებერ თავს ნუ მაცოდებ.

— უი გახდა დედაშენი,
შვილო, შავი ყორნის კერძად,
მეზობლებში „აშ-ორი-ო“
ვერ ვიშოვე შვილო ვერსად!

ავადმტყოფმა ამ სიტყვებზე
გაკვირვებით ჰყიტა თვალი.

რაო, რაო? ჩვენს სოფელში
დაილია, დედა, წყალი! —

ბებერს უფრო შეეშინდა.
თქვა: — გიყდება შვილი ალბათ!

მეტი კითხვით, მეტი სწავლით
ნორჩი ტვინი ალბად დალბა.

— არ მეგონა, დედაჩემო, —
შვილი ამბობს საყვედურით: —

შე თუ ჩემთვის დაზოგავდი
წყალს დასალევს სათითურით.

— შვილო, წყალი როდის მთხოვე?
— ორი დღეა ვითხოვ მუდამ,

— შვილო დედა გენაცვალოს,
აჰა წყალი თუნდაც გულა.

მაშ აშ-ორი აღარ გინდა?
ვერ ვიშოვე, რას გააწყობ!

— დედაჩემო უგუნური
და უფიცი რომ ხარ გატყობ!
აშ-ორი-ო ქიმიურად
ჩვენებური არის წყალი.
უნდა მიხვდებ, დროთ უკვე
გააჰყირო შენაც თვალი!
დედამ თავი მოიფხანა
და შვილს ასე უპასუხა:
— შვილო, შრომას რომ ჰყრი
წყალში

ამას ვდარდობ, ამას ვწუხვარ!
წყალის სახელს რომ ივიწყებ,
ახალს იძენ რამეს მის ფასს?
ვერ მოიხმარ, შვილო, გატყობ,
განათლებას შენ განძს ძვირფასს.

ზოგიერთ „ბრძენს“ თავი მოსწონს
თუ არა წერს გასაგებად.
რაც მეტს იტყვის აბლაუბდას
მიაჩნია თავის ქებად.

ვინც არ იცის, რომ სიტყვების
რახარუხი არის ფუჭი,
მას აზრი აქვს დაკოდლილი
და გონება შორს არ უჭრის.

ხოზიტა

„ერთი კაცი მთოხნელია, — ოცდახუთი მცოხნელია“

ნახ. კროტკოვის

ინვალიდების ზოგ არტელებში ფაქტიურად ერთი-ორი ინვალიდია



3.5 ნოვემბერი

მშვენიერია ხელშეწყვე
ვხარობთ „ეშხით“ შენითა
შენა გვკურნავ ყოფილებს
„ქესატობის სენიდან“.

შენი ეშხის კირიმე,
შენ ხარ ჩვენი დიდება,
უშენობით ჩვენს „არტელს“
„ცეცხლი“ წაეკიდება“

შენს სახელზე ნადი გვაქვს
სახრავი კი ჩვენია,
დაუარე ლეკური
და ნუ მოგიწყენია! მადლზეა.



ძროხა:—ბიჭოს, მეორე ხბო მე რომ არ დამიბადებია, ეს საიდან გაჩნდა?
ხბო:—რის ხბო? ხბო მე ვარ, ეს ჩვენი საკოლმეურნეო ფერმის გამგეა.

უფალი და მწარე კვანძი

რომის პაპმა განაცხადა: თუ ზავის საქმეში ღმერთი არ ჩაერია, ისე ერთა ლიგის სამშვიდობო პოლიტიკისაგან არაფერი გამოვაო.

სამშვიდობო პოლიტიკით ჯერ გამოდის კიდეც „რაცხა“ მაგრამ ცეცხლის სიახლოვით ჰორიზონტი უკვე დაცხა. დაგვიფიქრა ალბად „ღმერთმა“ და აილო ჩვენზე ხელი ალბად არ სურს განრისხებულს აგვაშოროს განსაცდელი. მაგრამ ომი თუ დაიწყო აი, ასეთ შემთხვევაში ზეცის ტატნობს, „ღვთის სამყოფსაც“ ხომ მოიცავს ცეცხლი მაშინ? მაშინ ღმერთიც „ჩაგვერევა?“, საღა წავე ღმერთი მაშინ? უდავოა: თავს უშველის:— შეცოცდება მწარე კვანძში.

მწარე წამალი

ბერლინში, გერმანიის იმპერიის მოსამსახურეთა კავშირის ხელმძღვანელმა ი. რაიშმა განაცხადა: ყველა მოსამსახურეები, ყოველგვარ გამონაკლისის გარეშე, ვალდებული არიან გამოიწვიონ ოფიციალური პარტიული გაზეთებიო. („ფოლკიშერ ბეობახტერი“. ბერლ).

ნაციონალ-სოციალისტს უჭრის კუჟა-გონებაო, ფაშისტური პრესით უნდა ალხის ძალით ცხონებაო.

სიმი.

ბ ა ნ კ ე ტ ი ა დ ა

ანუ დაამყვებ თამადის ტოსტი

იღვგრძელეთ...
ძვირუას სტუმრებს
სიხარულით
მუდამ ველი,
მათ ვუზივარ
თვალში სულ მე
ახალგაზრდა—
ყანწით მსმელი;

ვარ ერთ მგონის
მადლიერი
ის სტუმრებში
მიზრდის სახელს
— „მადლი მზის და
მადლი ერის“
სულ წინ მიდგას
მისი სახე.

მეც მალალი
მწერალი ვარ
და თამადის
ეპიგონი,
სულ ვქეიფობ

ყანწებითა,
ვით თამადა
მოსაწონი.
—
ალარ ვტოვებ
არც ერთ ბანკეტს
მაქვს თავადის
ხმა და ტონი
პოეზიის
მწვერვალზე ვარ
დაიჯერებთ
ამას მგონი...

მე ლექსს არ ვწერ
და სახელი
ულექსოდაც
იწერება
და ბოროტის
გამზრახველი
უჩემოდაც
იცელება.

რომ შადიღონ
ვიცი ხერხი

სახელისთვის
მეც ვსვამ ღვინოს,
ველარ მნახავთ
წარბებ შეხრილს
მინდა ასე
მოვილხინო.

ვქეიფობ და
მალაც მოდის
მასპინძლობა
უნდა სტუმრებს,
რა სჯობია.

თუ ლიტფონდი
მუქთად მაჭმევს
მხოლოდ სულ მე.

მსურს: ჩემი ხმაც
ისე ქუხდეს,
ვით თამადის
ქუხდა ტოსტი,
რა ქეიფი
იყო წუხელ
დამეკარგა
გზაში ტოსტი!

უშაუკა.

მაინცვერ უშველა

ნახ. ლომიძის



— გუშინ ივანეს საავადმყოფოში მუხლების სახსრებთან ორივე ფეხი გადაჭრეს. აშენდა კაცი აწი მაინც არგებს ფაბრიკა „მკერავის“ მიერ გამოშვებული შარვალი.

— მაინც ვერ უშველის! წელზე არ მოწვდება: აკაკის პოემის გმირის—ცოტნე დადიანის სტილით არის შეკერილი.

სახლი № 33

(ვათარა ფელეტონი დიდ აგვაგვამ)

ვინაიდან სახლი № 33 ყოველ ქუჩაზეა, ამიტომ სხვა სახლებმა რომ თავისთავზე არ მიიღონ ეს ამბავი, დავასახელოთ ქუჩა—ღვინის აღმართი.

კარგად მოვლილი მისი ასაკის სახლები ამაყად გამოიყურებიან და ქუჩებს ამშვენებენ. მაგრამ ეს სახლი „უამთა სიაცესა“ და უპატრონობას ისე გაუტეხია წელში და ისე დაუსახიჩრებია, რომ ძლივს დგას ფეხზე და ლამის არის ნანგრევებად იქცეს.

სახლთა ტრესტის კომენდანტი მას ხშირად მოინახულებდა. ეს მონახულება ყოველთვის იყო დაკავშირებული ბინის ქირის აკრეფასთან.

— ხომ ხედავთ რა მდგომარეობაშია ჩვენი სახლი!— შესჩივოდნენ მდგმურები კომენდანტს.

— შეკეთების ხარჯთ-აღრიცხვა დგება!

— უკვე შედგენილია ხარჯთ-აღრიცხვის გეგმა!

— გუშინ დაგვიმტკიცეს ხარჯთ-აღრიცხვის გეგმა!— აიძვებდა კომენდანიტი მდგმურებს ყოველ მოსვლაზე და მიდიოდა, რომ განსახდრული დროის შემდეგ ისევ მოსულიყო ბინის ქირის შესაკრებად და ისევ ახალი დაპირებები დაეტოვებია ქვითართან ერთად.

დაპირებები კი დიდი იყო: სახურავის შეკეთება შედებოდა, აივანზე იატაკის გამოცვლა, დამპალი ბოძების მაგიერ ახლის გამოყენება, კიბეების შეკეთება და მათთვის მოაჯირების გაკეთება და სხვ. მათი სიტყვით რომ ვთქვათ—კაპიტალური შეკეთება.

მაგრამ დაპირება ერთია და შესრულება—მეორე. ამ დაპირებების განსახდობაში სახლში, № 33-ში დაიბადა რამდენიმე ბავშვი. ზოგი მათგანი ახლა უკვე სკოლაში დადის. მაგრამ დაპირება მაინც დაპირებად რჩებოდა. იმედიც დაიკარგა.

მიმდინარე წლის წინანგრის ერთ ღღეს ტრესტმა მოიკრიფა ენერგია და შეუდგა აღმართს.

სახლს № 33-ს არასოდეს, პირველად აშენების დროსაც კი, არ უგრძნია ის სიამოვნება, რომელიც იმ ღღეს იგრძნობდა მძელი სახლი ფეხზე დადგა. ბავშვები ხომ სულ გადაიჩინენ სინარტოლისაგან, რომ კიბეებს მოაჯირი გაუკეთებოდა და მშობლები ვეღარ აუკრძალავდნენ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლას. ჯერ არც კი სჯეროდათ, მაგრამ როცა მუშები შეუდგნენ მუშაობას, დაწმუნდნენ, რომ ტრესტი აღარ ხუმრობდა და დაპირებას ანაღლებდა.

— მაგრამ მასალას რომ ვერა ვხედავთ!— დაეკვდნენ ზოგიერთები, როცა საშენი მასალა ვერ ნახეს.

შეუდგნენ აივანზე იატაკის აყრას.

— ჯერ მასალა მოიტანეთ და მერმე აპყარეთ!— უთხრეს მდგმურებმა ოსტატებს.

— სანამ ამას ავეყრიდეთ, მასალასაც მივიღებთ!— ამწვიდებდნენ მათ ოსტატები.

მაგრამ გავიდა ერთი დღე, ორი... ათი... თვე და მასალა მაინც არ ჩანდა. წავიდნენ ოსტატები ტრესტში და უთხრეს:

— ყოველგვარი წინასწარი სამუშაო შესრულებულია, საჭიროა მხოლოდ მასალა.

— მასალა არა გვაქვს!— იყო მოკლე პასუხი.

დარჩა ძველი ძელები აყრილი. გაქრა აივანზე იატაკი.

დაავიწყდა ტრესტს სახლი № 33 და...

მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა მოახსენეს:

— გრიგორიანის ბავშვი დაიმტვრა და მიმედ დაშავდა!

— რატომ?

— აი, თქვენ რომ იატაკი აპყარეთ აივანზე და სამაგიერო არაფერი გაგიკეთებიათ.

— ძალიან სამწუხაროა. რა თქმა უნდა, აივანზე იატაკი თუ არ იყო, ბავშვი დაიმტვრეოდა. ხვალდანვე შევუდგებით და ყველა ფერს გავაკეთებთ!— იმედით გამოისტუმრეს სახლის დელეგაცია ტრესტიდან.

საერთოდ ცნობილია, რომ თუ აივანს იატაკი არა აქვს, ადამიანი ვერაფერს ეყრდნობა და ვარდება ძირს მიწაზე. ტრესტის ზოგიერთს მუშაკს ალბათ ჰგონიათ, რომ ეს უიატაკობის გამო კი არ ხდება, არამედ ეს არის მიწის მიიზიდველობა, რომელიც ნიუტონმა აღმოაჩინა, როცა მცენარედან მოწყვეტილი ვაშლი მიწაზე დაეცა და ჰაერში არ გაფრინდა.

ტრესტის მრისხანე ღმერთებმა არ იკმარეს მცირედი მსხვერპლი და სახლი № 33 ისევ დაივიწყეს. მოაგონდათ მხოლოდ მაშინ, როცა მოახსენეს:

ქალი ჩამოვარდა აივანიდან და დაშავდა.

— მერმე-და ჩვენთან რა გინდათ? თქვენ მისამართი შეგცვლიათ. გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“ და საავადმყოფოში წაიყვანეთ!— ასწავლეს კკუა, მაგრამ გულშემატკივრობაც გამოიჩინეს:— მაინც როგორ მოხდა? ძველი ძელები უნდა გაგედვათ ჯერხანობით და მარცხი არ მოხდებოდა.

— ესეც ვქენით, მაგრამ დამპალი იყო და ვერ გაუძლო.

— ალბათ მსუქანი ქალი ყოფილა.

— ორსული იყო.

— ჰოდა აბა რა გასაკვირია! ორსულს კი არა, ერთ სულსაც ვერ ზიდავდა ის ძელები. მიბრძანდით და ხვალდანვე შევაკეთებთ კაპიტალურად.

მრისხანე ღმერთები მაინც არ კმაყოფილდებოდნენ. კიდევ დაავიწყდა ტრესტს სახლი № 33 და მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა მოახსენეს:

— მოქ. აკოფოვას ოთახის კედელმა ნახევარი არშინით დაიწია ძირს, რადგან დამპალი ბოძი გამოეცალა.

— ახლა ჩვენ მუშები არ გვყავთ. მასალას მოგცემთ და თქვენ შეაკეთებინეთ ვისაც გინდათ. ან დაიცადეთ და, როცა მოვახერხებთ, შევაკეთებთ!— დამწვიდებით უთხრეს ადელეგებულ დელეგაციას.

მაგრამ მდგმურები ვერ დამწვიდნენ ტრესტის დამწვიდებით, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელია მარცხი. სამაგიეროდ დამწვიდებული არიან ტრესტის ის მუშაკები, რომლებიც ასე აბუჩად იგდებენ და ასე აფასებენ ადამიანებს.

საფუკლიანი სივრთხილე

ნახ. მ. ოთაროვის



სამტრედიაში რკ. გზ. მოლარეები ბილეთებს განუსაზღვრელი რაოდენობით ყიდიან, რის შედეგად მგზავრები მატარებელში შესვლას ვეღარ ახერხებენ და წაუსვლელი რჩებიან.

ქართული
კრიტიკა

სამტრედია




მგზავრები: — არ გვინდა მეგობარო! თუ მატარებელში ადგილი არ არის მაგ კარდონის ნაჭრებზე ხომ არ ჩამოვჯდებით?!

მაცლური საპენკი

ნახ. გ. ლომიძის

ბაჭუა არ-ბიძემ აქეიდა გზის ტექნიკი ლოლაძე და ინუენერი უკლება, რომლებმაც ჩხარი-სახანოს ახალი გზის გაყვანა ააცილეს მის მამულს, რამაც გამოიწვია ზედმეტი ხარჯები, გზის გამრუდება და თუთუნის ნერგების აჭრა.



— ჭუკი, ჭუკი, გენაცვათ! მოდიოთ, მოდიოთ ჩემთანა, გზის ტექნიკო ლოლაძეც, ინუენერო უკლება. ხელის გამწყობები ხართ, გენაცვალეთ ორთავეს, რასაც ხედავთ, მოგართმევ სუვეელაფერს უკლებლად.

სწორი დახასიათება

ამერიკაში კინოში მოთამაშე კატა ლეზულობს 60 დოლარს კვირაში. ამავე დროს მრავალი მილიონი უმუშევარი შიმშილს განიცდის.

ნახ. დონის

ეროვნული
გეგლიოტიკა





— ძია, ეს ჩემი ადგილია, რატომ დაგიკავებია?
— ვა, მამაცხონებულის შვილო, იაპონიამ მანჯურია დაიკავა და მე, რომ შენი ადგილი დაგიკავო დიდი ამბავია?

მ ს ტ რ ა ლ ა ს თ ა ნ

(ამბავი ახლო წარსულიდან, რომელსაც წელს რაც შეიძლება უნდა ვგერიდოთ)

ჩვენ ვისხედით ერთად, კლუბის თეატრში და ვისმენდით საქველის გასტროლიორ ქალის საუცხოო სიმღერას, რომელსაც ძველი „ნე უხოდი, პობუდ სომნოი“ გადაეკეთებინა სრულებით ახალ ყაიდაზე ისე, რომ თითქმის „მი სმელო ვ ბოი პოიდიომ, ზა ვლასტ სოვეტოვ“ გამოდიოდა.

— „მეტი აღარ შემიძლია, გამიყვანეთ, ან გამიტანეთ აქედან“, სუსტი ხმით წარმოსთქვა ჩემმა მეზობელმა და თავი დამადო მხარზე.

— თუ გნებავთ, სასწრაფო დახმარების მანქანას დაუძახებ, — ამხანაგური თანაგრძნობით უთხარი მე.

პასუხი აღარ მოუცია, რადგანაც გული უკვე წასვლოდა და ლაპარაკი აღარ შეეძლო.

მოქალაქეთა დახმარებით და მათი აქტიური მონაწილეობით მე შევსძელი მეზობლის აყვანა და კარებისკენ გაუღდექით.

— „ნე უხოდი, პობუდ სო მნოი“... მღეროდა ქალი.

— არა, დარჩენა არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია, — ვუპასუხე მე გულში.

„ეი და რაზგულიატი ბრიგადა ნაშა თი, ნიკტა ლიუბვი ნე ზნაეტ კუხარკი მოლოდოი“...

ას პროცენტთან თანადროულ კულტეტებს ისროდა ლამაზი.

კაკაია პრელესტ, რა მშვენიერებაა, — სთქვა ბებერმა ქალმა, რომელსაც თავზე ასე, მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებში ნაყიდი „შლაპკა“, ეხურა და შუშა-ამოტეხილი ლორწეტი აიღო. — კულია მხოლოდ, რომ სიტყვები შეუცვლია, უნდა იყოს არა „კუხარკი“. არამედ „ციგანკი მოლოდოი“...

— „ზა-ა-ჩემ, ზაჩემ ვი ნე პროლი, ტაინუ სერდცა მავეო“.

მოგვძახოდა კარებამდი მომღერალი ქალი. იქვე რესტორანში ლუდს მიუსხედით.

— „ი რაზომლის, კაკ ვ მორე კორაბლი“.

მოგვესმა შორიდან, სჩანდა, მომღერალ ქალს მეტად ეწყინა ჩვენი წამოსვლა და ცდილობდა

შორიდან ნატყორც დამწველ ლექსებითა და სიმღერით მოეღბო, ან იქნებ განეკურნა მისი წივილისაგან ჩვენი უდანაშაულოთ განგმირული გული.

— რას წივის ეგ შეჩვენებული? — გაჯავრებით სთქვა ჩემმა მეგობარმა და ქული აიღო, — მე თუ აქედან არ წაველი, ეგ მე გადამრევს და როგორც გავიგე ჩვენი ქალაქის საგიჟეთში ადგილი აღარც კი უნდა იყოს...

— ალბად ამ ყაიდის მომღერლებისაგან შეშლილი მოქალაქეებით იქნება სავესე.

— ალბათ, წავიდეთ!

— მოიცა კაცო, მერე სხვები გამოვლენ!

— „ვერნის, ია ვსითა პროშჩუ, უბრიოკი, პოდოზრენია“...

ისევ მოისმა ესტრადიდან.

— ეს უკვე აშკარად შენი მისამართით ამბობს!

— რა უნდა მაპატიოს მაგან, ან რა დამიშავებია გარდა იმისა, რომ გული შემიღონა



გზის ტაქსიკონსი.—ეი შენ! რასა შვრები? ქუჩის მორწყვა გაგონილა? ხომ წაიღებს წყალი ჩემს მოკირწყლულ ასფალტს!

მაგის წივილმა?.. მაგას რომ ერთი კვირა უსმინო, პირდაპირ თმა გამითეთრდება...

— რამდენი წლის ხარ გიტო?

— ვიქნები ასე...

— „ვამ დევიატნადცატ ლე-ე-ეტ“... მოისმა პასუხად ესტრადიდან.

— ღმერთი შენ გიშველის... წავიდეთ! კინოში მაინც შევიდეთ.

კინოში შევედით. გულახდილათ რომ ითქვას, ვერ გავარჩიეთ, რა სურათი იყო, რადგანაც კინო-ფილმი, ჰასაკის მიხედვით, იქნებოდა ოციოდე წლის მაინც. ამიტომ გარეთ გამოვედით.

— ეს რა სურათია თუ იცით?— შევეკითხე კინოს გამგეს.

— რა მოგახსენოთ, მაგას ძველათ „საიდუმლო სიყვარული“ რქმევია, მაგრამ, რადგანაც ახლა სი-ვარული ცოტა მეშინური განცდაა, ამიტომ ჩვენც ავიღეთ და „არაჩვეულებრივ ტრაქტორისტი“ დავარქვეთ...

— კი მაგრამ, რა შუაშია აქ ტრაქტორისტი? ამას გარდა, ტრაქტორი არც კი დაგვინახავს, თუმცა საერთოდ ვერაფერი გავარჩიეთ..

— აი, საქმეც მაგაშია, ეშმაკური ღიმილით წარმოსთქვა გამგემ,— აქ მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ თვით ლენტი ძველი და გაცვეთილია! სურათის გარჩევა რომ შეიძლებოდეს, მაშინ მაგას ვერც გაუშვებდით, რადგანაც ხანში შესული ადამიანები ამბობენ, რომ ეგ სურათი მაგათ ახსოვთ, როგორც თანამედროვეობისათვის იდეოლოგიურათ გაუმართლებელი! მაგრამ ლენტის სიძველის გამო მაცურებელი სურათს ვერ გარჩევს და მაშასადამე, ვერც შინაარსს გაიგებს... მეორეს მხრივ კი სურათი იდეოლოგიურათ მაგარია, იმდენათ, რამდენათ სრულიათ გამართლებული სათაურის მატარებელია... „არა-

ჩვეულებრივი ტრაქტორისტი“! თქვენ ამას ეხუმრებით?.. ამაში არის მთელი ჩვენი ახალი ყოფის დინამიკა და სტატუსქეო... ასე რომ თქვენ ტყუილად იკრავთ შუბლს. ამას დაუმატეთ, რომ ასეთი სურათები მეტად იაფია და გლუბს არ უძნელდება შექმნა, მიუხედავთ იმისა, რომ საბიუჯეტო შესაძლებლობათა ამოშრეტის გამო, ჩვენი კლუბი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება...

— კი მაგრამ სურათში მაინც არაფერი სჩანს.

— რა უყოთ მერე? დიდი ამბავი! რა ფულს იხდის მაცურებელი ისეთს, რომ ყველაფერი ნახოს? შე კაცო, ათ შაურად ერთი კიტრია და ერთ კიტრად თქვენ გნებავთ ისეთი ფილმი ნახოთ, რომ იდეოლოგიურადაც ხერხემლიანი იყოს, მხატვრულად წარმტაცი, შინაარსით მომხიბლავიც? ეგ, სად წავა? ამ სურათში რვა აქტია, ათი შაურის მიხედვით (ზოგს შელავათიანი ბილეთიც აქვს) თითო აქტს უწევს რალაც ექვსი კაპიკი და ორი მეთათედი.. ჰმ! ექვს კაპიკად რას იყიდი ახლა? თუ გავითვალისწინებთ, რომ ნახევარზე მეტს შელავათიანი ბილეთები აქვს, აქტში სამი კაპიკიც არ გამოვა... და მიუხედავთ ასეთი შელავათებისა, ზოგიერთი მაინც საყვედურობს!..

ესტრადაზე ზარი დააწკარუნეს. ანტრაქტი გათავდა.

— წავიდეთ, ახალი ნომერი იწყება,— შევებატიყე ჩემს მეგობარს.

— წამოვალ კი, მაგრამ ვაი, თუ ის ქალი კიდევ გამოვიდეს და დამიჩემოს, რომ „მნე დევიატნადცატ ლეტ“...

— არა კაცო, აღარ გამოვა! წამოდი ლექსები იწყება!

წავედით, შევედით. ჩვენი ადგილები უკვე დაეკავებინათ, ხალხი ისევ მოგროვილიყო ახალი ნომრების მოლოდინითა და იმედით.

— უკაცროდ მოქალაქე, ეს ადგილი ჩვენია.

მოქალაქემ აღმაცერად შემოგვხედა.

— თქვენია რა, სახლიდან მოიტანეთ ეგ სკამები?

— არა, მაგრამ... ეგ ადგილები აქ ვიყიდეთ.

— იყიდეს! საკოლმეურნეო ბაზარია? ჰმ, უყიდნიათ!

— ადექით, ადექით, ამ ადგილის ბილეთები ხელში გვიჭირავს. თუ ბევრ ლაპარაკს დაიწყებთ, მილიციელს დაუძახებთ.

როგორც იქნა, ავაყენეთ და დავჯექით. მოქალაქე ჩვენ წინ დაჯდა ცარიელ სკამზე.

— თუ შეიძლება ქუდი მოიხადეთ, გვეფარებით.

— ბიჭოს, ეს რა ხალხს გადავეკიდე! ქუდი მოვიხადო რა, სურჯ-სარქისის საყდარში ვარ თუ ქაშვეთში! თქვენ გეტყობათ, ღვთის მორწმუნე ვინმეები ხართ, ვინ იცის, იქნებ ძველი რეჟიმის ხალხიც იყოთ და აქ საზოგადოებას ატყუებთ, მითომ რა არის, მუშათა კლუბში მოვდივართ, კომუნისტები ვართო... გიცნობთ, გიცნობთ!..

ხმა აღარ გავციცია. ლაპარაკი ზედმეტი იყო, ცოტა ღვინის სუნიც გადაჰკრავდა და საერთოდ კი ეტყობოდა, რომ თვითკრიტიკას ვერ უძლებდა.

ესტრადაზე კონფერანსიე გამოვიდა და ლაპარაკი დაიწყო.

— ეგ არ გვინდა, ლექური, ლექური!— მიაძახა ჩვენმა ნაცნობმა.

— რა არ გინდა მეგობარო? ლექური თავის დღეში არ მითამაშნია, მე გეტყვით, ვინ გამოვა ახლა.

— ვინ გამოვა, დავინახავთ, შენ ერთი ლამაზათ ჩამოუარე!

— დაწყნარდით მოქალაქე. მე კონფერანსიე ვარ და არა მოკეცავავე.

— რაო, აქაც კონფერენციაა? არ გვინდა კონფერენცია შენთვის შეინახე, მე ცეკვა მინდა, ლექური თუ არ იცი, შამილი იყოს...

— გაიყვანეთ აქედან,— გაისმა აშფოთებულის ხმები და ლექურის მოტრფიალეს ხელი სტაცეს.

— მე წავალ,— კარებიდან დაიძახა მან,— თუნდაც ძალიან მთხოვოთ, კონფერენციაზე არ დავრჩები. გიყი ვარ მომხსენებელს უყურო? მშვიდობით, კაი დრო გაატარეთ მაგ ცინგლიან თავმჯდომარესთან, ვნახოთ კრების ბოლოს რა ხასიათზე იქნებით...

— ახლა გამოვა ცნობილი ესტრადისტი მამაოჩვენოშვილი და ლექსებს წაიკითხავს,— გამოვიცხადა კონფერანსიემ და კულისებში მიიმალა.

ხალხი დაშოშმინდა და ჩვენ შეუდქით ხელოვნებით დატკობდას.



კრიტიკული მოთხრობა) 1.

თავი პირველი.

ეს იყო ორი წლის წინად, ესე იგი მას შემდეგ გავიდა ორი წელი. მგონი აგვისტოს თვე იქნებოდა. თბილისში იმდენად ციოდა, რომ ფუნქიულიორზე კაცი ვერ იცდიდა და ადრე დილით ქვევით ეშვებოდნენ. მე ჩემს აივანზე ვიჯექი და სიცივის გამო შეწუხებული პერანგს ვიხდიდი. ამ დროს მე მომაგონდა ჩემი „კრიტიკული მოთხრობის“ გმირი, იგივე დღეს უკვე ცნობილი ჩვენში ხოხო კიკილაძე. ის ჩემს წინ იდგა და მეკითხებოდა:

— ჩემო ძვირფასო მკვლევარო და „ნიანგ-თან“ არსებული ჩემი სახელობის სამეცნიერო-საკვლევო წრის ნამდვილო წევრო, მინდა შეგეკითხოთ.

— რატომ იტკივებდით უტკივარ თავს და ჩემს პიროვნებას აცნობდით მსოფლიოს? ვიყავი ჩემთვის და ჩემს საქმეებს ჩუმათ „ვაჭარაკვები“, დღეს კი თქვენი საშვალებით ქვეყანა მიცნობს და ვინაიდან ეს ასეა, მაშინ ნება მომეცით გითხრათ იმის შესახებ, რომ თქვენი კვლევითი მუშაობის შედეგი ჩემი მოღვაწეობის შესახებ მწერლობაში სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. ინებეთ და ვაცანით ქვეყანას, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი პიროვნება ხოხო კიკილაძე ესე იგი მე ვარ არა თუ იშვიათი პოლიტიკოსი, ეკონომისტი, დიპლომატი, მეცნიერი და სხვა და სხვა, არამედ ჰენიოსი მწერალი, პუბლიცისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და იუმორისტი...

ამ სიტყვებზე მე უხერხულობა ვიგრძენი და სიმწარის ოფლში გავიწურე.

— რას ბრძანებთ პატივცემულო ხოხო? სრული ორი წელიწადია, რაც თქვენს იშვიათ პიროვნებას მთელი თავის სიგრძე-სიგანით ვიკვლევ და უნდა მოგახსენოთ, რომ კვლევის შედეგები საკმაო არის, თუ არ გჯერავთ, მიმართედ ჩვენი არქივების და მუზეუმების კარის-კაცებს და დამლაგებლებს, რომლებიც ამ საქმეში თქვენს შესახებ რჩევა-დარიგებისა თუ სხვა ხასიათის დანმარებებს მიწევდნენ და დღესაც მიწევენ.

— მაგრა პატივცემულო ყუმბარავ, თქვენ ჩემთვის ნიანგის მოწყალეობასაც არ დაიშურებთ, მაგრამ მე მაინც მინდა ვიცოდე, აცნობთ თუ არა ქვეყანას ჩემი მხატვრულ შემოქმედების შესახებ?

— რას ბრძანებთ, პატივცემულო ხოხო? როგორ თუ არ ვაცნობთ? ძაგრამ არქივებში და მუზეუმებში თქვენს შესახებ არაფერი მოიპოვება და ჩემ ხელთ მხოლოდ ერთი ლექსია, რომელიც უკვე დაბეჭდილი მქონდა ორი წლის წინად.

— რომელი ლექსი ყმაწვილო? — გაკვირვებით შემიკითხა ხოხო.

— „ავტობორტრეტი“, — ვუპასუხე მე...
— ასეთი ლექსი მე არ მახსოვს, — ჩაილაპარაკა მან და მთხოვა წამეკითხა.
— აი ეს ლექსი, — ვუპასუხე მე და წავიკითხე:

ხან მაღალი, ხან დაბალი,
როგორც ბედი მწყალობს,
არ იფიქროთ ვარ საწყალი,
ვიტანჯები, ვწვალობ...
მაღალი ვარ მე დაბალთან
და თავს ვიჭერ მაღლა...
მაღალთან კი რა უნდა ვქნა,—
ქედს მოვიხრი დაბლა.
თვალეზიდან ხან ცეცხლსა ვერი,
ხან კი ვაფვრქვევ ცრემლსა,
მაგრამ ერთ წუთს არ ვივიწყებ
სიტკბო-სიამესა...
ხან ბიჭი ვარ პირტიტველა
ხან კი ვუშვებ წვერსა
ხან დავდივარ ნელა-ნელა
ვბაძევ ხან ექსპრესსა.

— ო, ახლა კი მომაგონდა, — ჩაილაპარაკა მან. შუბლზე სალოკი თითი მიიღო და ასე მომმართა:

— სხვა გამოსავალი არ არის, თქვენ შეგიძლიანთ დღესვე დაეპატრონოთ ჩემს პირად არქივს, მხოლოდ ერთი პირობით, — მომეცით ნიანგური სიტყვა, რომ ჩემი არქივის საიდუმლო ნაწილს ხელს არაფერ შეახებს.

მე სიხარულის გამო ხოხოს გადავხევი და მის ხელს ხელი ჩავჭიდე.
ნიანგურ სიტყვას გაძლევთ პატივცემულო ხოხო, რომ თქვენს არქივს დავეპატრონები ისე, როგორც საკუთარ ქონებას.

ამ დროს მან ამოიღო ერთი ლექსი და მთხოვა შემენახა მისი არქივის საიდუმლო ნაწილში. ჩემში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. მან ეს შემიტყო და ღიმილით მითხრა: სჯობს მე თვითონ წავიკითხო, ვინემ თვითონ წავიკითხავდეთ. ხოხომ ლექსის კითხვა დაიწყო:


ამას ვწერ ჩუმათ,
საიდუმლოთ დარჩება ჩვენში
პოეტი არ ვარ,
თუმცა ბევრ მათგანს
ესჯობს რითმებში.
ვამბობ თავისთვის
მე სიტყვებით ერთი პოეტის,
„მე ლექსებს არ ვწერ“,
ლექსებისთვის ვარ ქვეყნად მეტი.
ლექსები თითონ მოდიან
და მწერენ გაბედვით
და მეც ვსარგებლობ
ჩვენებური კრიტიკის ხედვით.
პოეტი არ ვარ,
მაგრამ მაინც ვაწვალე ლექსებს
ეს იმიტომ, რომ
„სახრავი“ აქვთ ჩვენში პოეტებს.

მე გაკვირვებით შევაშტერდი ხოხოს თვალეზში.

— როგორ, აკი თქვენ თითონ ამბობთ, რომ ჰენიოსი მწერალი ხართ, ლექსით კი თქვენ უარყობთ თქვენს პოეტობას. ვერაფერი გამიგია.

— სწორეთ, რომ ჩემი ჰენიოსობაც მაგაშია, დაფიქრდით და თვითონ მიხედვით. — მოკლეთ მომიგო ხოხომ, დამემშვიდობა და გაქრა.

(მეორე თავის დასაწყისი შემდეგ) ყუმბარა.



ნიანგის ლექსიკონი

აივანი — რუსული სიტყვა. „ქართულად“ ბალკონს ეძახიან.

ავვისტო — თვის სახელია. შემოსულია რომიდან. მეტად მოძველებულია. ჩვენში მას მარიაპოლისთვის უწოდებდნენ. ვინაიდან „ღვთის მშობელი“ მარიამი და იმპერატორი ავგუსტიც ჩვენში უკვე ტარაქიდან გავიდნენ, უმჯობესია ამ თვეს მთავარი შინაარსის მაჩვენებელი სახელი დაერქვას. ჩვენი აზრით ასეთი სახელი იქნება „შვებულებისთვე“ მაშინ ზაფხულის თვის სახელები ასე წაეწყობა: თიბათვე, მკათათვე, შვებულების თვე. ძველი სიმღერებიც კი შეიძლება ამ ახალი სახელწოდების მიხედვით შევასწოროთ მაგალითად:

შარშან შვებულების თვეში
გამგე დაგვიქარგა ტყეში.
და სხვა.

აზიან — ხურმაა, რომელსაც იაპონელი მილიტარისტები წუწნიან და როზენბერგი კი შორიდან კბილებს უწაწკუნებს ორგანიზმისათვის ძნელი მოსანელებელი ხილია.

აზარაქი — ყური, რომელიც ჩვენს დედაქალაქს დასტობით აკრავს. მაგრამ რომელსაც ტფილისის მოქალაქენი მაინც ცხრა მთას იქით ეძებენ.

ავტო — მანქანა — თავისებური სახის ტრანსპორტი: უფრო გავრცელებულია შემდეგი ტიპის ავტო — მანქანები:

- 1. ჯეპი, ჯეპი — ვერდაჯეპი — ავტობუსი
- 2. ძებნე, ძებნე — ვერ მოძებნე — (ტაქსი)

ავიაციან — ფრენისაზნობა მისი განვითარების მთავარი ფაქტორებია: კაპიტალისტურ ქვეყნებში სამხედრო ფონდის „კასები“ და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები.

ბარათაშვილი — მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტი, ზოგიერთი კრიტიკოსების განმარტებით დაიბადა 1855 წ. და გარდაიცვალა 1816 წ.

1. რედაქციის შენიშვნა: ამხ. ყუმბარას ეს „კრიტიკული მოთხრობა“ იმდენა კრიტიკის ახალი ჟანრის ნიმუშს. ჩვენმა კრიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ ეს ჟანრი.



ნახ. ლურიესი

გერმანიის ფაშიზმი ოცნებობს შეკრიბოს ყაფი-
ლი რომის იმპერიის ყველა ტერიტორიები, დაიპყროს
სხვისი მიწები და გააერთიანოს თავისი მართვედომის
ქვეშ.

საქრებულო
საქრებულო

გაზეთებიდან



— ნებაჲი ხელაგის სურვილსავით გჰქელი მჰოდესი



გ ა ა ხ ს ე ნ დ ა

საქართველოს ზოგიერთ რაიონების სატყეოს გაყვები ტყის მძარცველებს ხელს აფარებენ.

ძველ დროს, ტფილისის ერთ პატარა მრეწლიან პატარა საყდარს ეპისკოპოსი ეწვია. საყდარში თავმოყრილ მრევლს მღვდელი მოხსენებას უკითხავდა:

— საშინლად გაცუღლუტდა შვილებო ჩვენი მრევლი! საყდარს არ ეკარებიან და მთელ დღეს და ღამეებს კაზინოში და სამეძაო სახლებში ატარებენო.

ეპისკოპოსმა თავში ხელი წაიკრა და წამოიძახა:

— უხ ახლა კი გამახსენდა, რომ გუშინ წინ ჩემი ქოლგა „ერთ ადგილას“ დამრჩაო.

„ნ ი უ ჟ ე ლ ი“

იმერელი ახალგაზრდა რუსეთში მოხვდა სამხედრო სამსახურში. მშობლებს წერილი მოსწერა: „აქ ვერ ვმოულობთ და—ლავროვი ლისტი გამომიგზავნეთო“.

მშობლებმა მისწერა: „შვილო, ლავროვი ლისტი“ ვერ გავიგეთ რა არისო.

შვილმა მოსწერა: „ლავროვი ლისტი“ დაფნის ფოთოლია, ნიუჟელი არ იცითო!

მშობლებმა მისწერა: „დაფნის ფოთოლს კი გიგზავნით, შვილო, მაგრამ ამ ქამად „ნიუჟელს“ ვერ გიგზავნითო“.

„მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი“

ერთი სავაჭროდ წასული ქართველი მოსკოვში გარდაიცვალა. არ უნდოდათ მის ამხანაგებს, რომ გარდაცვალებულის მეუღლეს ერთბაშად დასტეხოდა თავზე უბედურება დაბრუნდენ ტფილისში და განსვენებულის მეუღლეს ერთერთმა მათგანმა ასე მიმართა:

— კარგი ამბავი ვერ ჩამოგიტანე ჩემო დაო, შენმა ქმარმა ვიღაც რუსის ქალი შეიყვარა და მოსკოვში დარჩა.

— აი, ისიც მენახოს შავ კუბოში გასუდრული ჩემი დალატისათვის. — გააბა კივილი დედაკაცმა.

— თავს ნუ იტყენ ჩემო დაო, შენი ნატვრა უკვე „ასრულებულია“ო, დაამშვიდა „მახარობელმა“.

აჭთიური

აფიცვარი და მსახური

აფიცვარი საღამოს უნდა დაწოლილიყო. დაუძახა მსახურს:

- ივან!
- ივანე შემოვიდა.
- ივან, ლოგინი დამიგეო!
- დაუგო.
- ჩექმები გამხადეო!
- გაჰხადა.
- ტანზე გამხადეო!
- გაჰხადა.
- დამაწვინეო!
- დააწვინა.
- საბანი დამხურეო!
- დაახურა.
- კარგი, წადი! დაძინებით მე თვითონ დავიძინებო.



ამ სატყეოს გამგე ბიჭზე ხმები დადის ცუდზე ცუდი: ხელს ისვრისო ბნელ საქმეში, ეხერხება საქმე მრუდი; უგონებენ: ფხიზელია ვერ შეუვა ტყეში ქურდი, და ქურდს თვალწინ თუ ვერ ხედავს „დამნაშავე“ არის ქუდი



მთელ საათს გაგრძელებდა შეფის სადღე-
გრძელო. წვეულების ყველა წევრმა უთხრა სიტ-
ყვა. სამადლობელ სადღეგრძელოში შეფმა და-
სახა ის ღონისძიებები, რომელთა შესრულება
სოფელს წინ წასწევდა და ეკონომიურად ძლი-
ერს გახდიდა.

— მართალია, მე არა ვარ აგრონომი და
არც ვიცი თქვენი სოფლის ნიადაგი, მაგ-
რამ აი ეს გაწყობილი სუფრა იმას ამტკიცებს,
რომ ჩვენი საშეფო სოფლის ნიადაგი ნოყიერია
და იძლევა ყოველგვარ ნაყოფს!

— ნოყიერი კი არა მწირიადაგიანია! — უთ-
ხრა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ.

— არ შეიძლება მწირიადაგიანი იყოს.
რომც იყოს, შეიძლება ნოყიერად ვაქციოთ.
მაგრამ მე ვამბობ, რომ თქვენი სოფლის მიწა
ნოყიერია. ამას ამტკიცებს თუნდაც აი ეს
მშვენიერი ღვინო! — და შეფმა ხელში ღვინით
სავსე ჭიქა აიღო.

— ჰმ! — უჯიქა კოლმეურნემ თავმჯდომა-
რეს. — ეს ღვინო ადგილობრივი ჰგონია!

— რატომ არ შეიძლება, რომ მეღვინეო-
ბას განსაკუთრებული ყურადღება მივაქცი-
ოთ და გავაშენოთ ვენახის ბაღები? შეიძლება
და კიდევ უნდა ვქნათ. მევენახეობა უნდა
გახდეს ამ სოფლის ძირითადი მეურნეობა. ან-
და ავიღოთ, თუნდაც აი ეს უგემრიელესი ხი-
ლი: ეს ბალი, ეს ვაშლი, ეს ატამი, ეს მსხალი.

— რა იცის, რომ ესენი მისთვის საგან-
გებოდ მოტანილია გორიდან! — გადაუჩურ-
ჩულა ერთმა მეორეს.

— როცა ჩვენ გავაშენებთ ხეხილის ბაღებს
შეგვეძლება ადგილობრივად გავხსნათ კონ-
სერვების ქარხანა და ამგვარად ეს ჩვენი ამ-
ჟამად ჩამორჩენილი სოფელი ვაქციოთ ინ-
დუსტრიალურ სოფლად. მეხილეობა უნდა
გახდეს ამ სოფლის მთავარ მეურნეობად. და
განა მარტო მეხილეობა? ავიღოთ თუნდაც
აი ეს შემწვარი გოჭი. მართალია, ჯერ ეს
გოჭი ხელუხლებელია და მისი გემო არ მი-
შინჯავს, მაგრამ ყოველმხრით ეტყობა, რომ
გემრიელი ხორცი ექნება. ეს მე შარშანდელი
გამოცდილებით ვიცი. შარშანდელი გოჭის
გემო ახლაც კი მაქვს პირში დარჩენილი. რა-
ტომ არ შეიძლება, რომ ჩვენ ხელი მოვკიდოთ
მელორეობას? შეიძლება და კიდევ უნდა
ვქნათ. როგორც ამ გოჭის სიმსუქნიდან ჩანს,
ეს ჩვენი სოფელი ძალიან შესაფერისია მე-
ლორეობისთვის, კარგი სალორე ადგილია.

— ძლივს გამოიმზრდია ხელზე გოჭი, და
ეს რას ლაპარაკობს! — გაიუიქრა სოფელელმა
რომელმაც სოფელს გოჭი შესწირა შეფი სტუ-
ბრობისთვის.

— მე არაფერს ვიტყვი მრავალ სხვა შესა-
ძლებლობაზე, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო
აი თუნ დაკ ამ მოხრაკული ვარიების შესახებ. ქა-
თამი ბევრი მიჭამია, და ისიც სხვადასხვა კუ-
თხის. მაგრამ ასეთი გემრიელი და არამატეიანი
ქათამი მე არსად მინახავს. მე დარწმუნებული
ვარ, რომ ჩვენ საკავშირო რეკორდს დავამ-
ყარებთ თუ კი მეფრინველეობას ხელს მოვ-

კიდებთ და შეგქნით ფერმას. გარდა ამისა,
ამხანაგებო, აქაური ქათმის კვერცხი ჩინებუ-
ლია. ამას წინად რომ კვერცხები და ყველი
გამატანეთ სახლში, ისეთი გემრიელი და ნო-
ყიერი იყო, რომ პირდაპირ ალტაცებაში მოვი-
დენ ცოლიდა ბავშვები. ამ წამოსვლაზედაც დამა-
ბარა ცოლმა კვერცხი და ყველი, სახლში არ
მოგიშვებ თუ არ მოიტანო. რატომ? განა
ქალაქში არ იშოვება კვერცხი და ყველი?
იშოვება, მაგრამ არ არის ასეთი გემრიელი. ერ-
თისიტყვიით მეფრინველეობა და მეკვერცხეობა
უნდა გახდეს ამ სოფლის წამყვან მეურნე-
ობად.

— შენი მისამართით ამბობს, რომ კი-
დევ გაატანო კვერცხი და ყველი! — გადაუ-

ჩურჩულა თავმჯდომარემ კოლონიატების გა-
მგეს.

— დასასრულ მინდა ერთ უდიდეს მეურ-
ნეობას მივაქციო თქვენი ყურადღება. ეს არის
მეცხვარეობა. ასეთი გენრიელი მწვადი, რო-
გორც აქ გვამე, სპეციალურ სამწვადეშიაც
არ მიჭამია. ჩანს აქ ხელსაყრელი პირობებია
მეცხვარეობისთვის, და ამიტომ მეცხვარეობა
უნდა გახდეს ამ სოფლის დედაბოძად. აი, ამ-
ხანაგებო, რა წარმტაცი პერსპექტივები გვე-
შლება წინ. გაგიმარჯოს თქვენ და გისურვებ
გაგებორციელებიოთ ჩემს მიერ დასახული
ღონისძიებები თქვენი სოფლის საკეთილ-
დღეოდ, — და შეფმა გადაჰკრა სავსე ჭიქა.
ისეილი.

გამოუვალ ჩიხუი

ნახ. ოთაროვის

„სად. წნორის-წყალი მუდამ გაუნათებელია“,
რადგან, სადგურის მესვეურთა თქმით, ლამაზს
იპარავენ.



— მჩხვლეტავი მავთულით დავიცავით ლამაზ ქურდებისაგან,
მაგრამ ჩვენც ველარ ვეკარებით მას!

ქვილგასაკრავი ამბები



რას აკეთებენ ოპორტიუნისტები?

„ნიანგს“ შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ექიმ ი. ბოლქვაძის განცხადება, რასაც აქვე ვათავსებთ:

*საინფორმაციო უწყისი ქვეყნის
ამხ. საქმეზე, რომელიც ეხება ი. ბოლქვაძის
იყოფიერებას და მისი საქმიანობის
კონტროლს*

*ქობულაძის თუ სხვათაგან, რომლებიც აქტიურად
საინფორმაციო უწყისში მუშაობენ, უნდა იქონიებდნენ
მომავალ სინსტრუქციას შემოკლებული ვიდეო ფილმის
ჩვენებას სხვათაგან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ
სხვათაგან ვიდეო ფილმის ჩვენებას იქნენ ი. ბოლქვაძის*

„ბათუმის უბნის უფროსს ექიმს ამხ. თაქთაქიშვილს ლანჩხუთის პონქტის ექ. ილიკო ბოლქვაძისაგან

განცხადება

გთხოვთ თუ საჭიროება მოითხოვს თქვენდამი პუნქტზედ ლანჩხუთში შემცვლად შევხვედეთაში მიმავალ ცინცაძისა შემოძლია ვიმუშავო როგორც ჩემთან ახლოს არის თქვენი პუნქტი და ყოველ დროს ვინყოფები იქნენ ექ. ი. ბოლქვაძე.

ვურჩევთ ლანჩხუთელ ოპორტიუნისტებს და პიონერებს: აიღონ შეფიქრება წერა-კითხვის უცოდინარ „დობტურ“ ბოლქვაძეზე და ასწავლონ მას წერა-კითხვა. თუ სკოლაში ბოლქვაძისთვის დასაჯდომი ადგილი არ არის, შეუძლიათ ბოლქვაძე საკუთარ დიპლომზე დააჯინონ.

ქალაქო ონო, გაზეთისკენ მუშაობა

ტფილისი თანდათან იცვლება და სანიმუშო ქალაქად ხდება, მაგრამ მის ქუჩებზე ზოგიერთი რედაქციები მაინც ცხვირს იმტვრევენ, მათი წინდაუხედავობის წყალობით. ასე ემართება ონის რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ მუშენებლობის“ ზოგ მუშაკებსაც: აქვე ვათავსებთ დასახელებული გაზეთის რედაქციის თანამშრომლების მიერ დაწერილ მისამართს, რომელიც დაკრულია ამავე

Тифлис ул. пушкину №20 груз.
2 шт.

საინფორმაციო უწყისი მუშენებლობა

გაზეთის სათაურის გვერდით:

„Тифлис. ул. пушкину № 20 груз. 2 шт.“.

საველალაოა, რომ რედაქციის აპარატის ზოგიერთ მუშაკებს იმის შეგნებაც კი არა აქვთ, რომ საქართველოს ფარგლებში გაზეთის და ყოველგვარი ამანათის გაგზავნა ქართული მისამართით შეიძლება. ამის შეგნება კი დამტკიცებას გადაარჩენს რუსულ ენასაც და ონელ ამხანაგებსაც.

გოლორი

ელიზბარს (ოზურგეთი) იწერებით:

**შოფერების მოქმედება
მგზავრებისთვის ლალატია
წასვლის ფასი ხან რვა არის
ხან თოთხმეტი მანათია.**

თან კითხულობთ:

**ჩანგალი გაქვს ნიანგოჯან
ბასრიანი, დიდებული,
გავვიმარტე: რაზე არის
აგი დამოკიდებული?**

როგორ გითხრათ:—ნაწილობრივ შოფერების ან ავტოს მეპატრონეთა ქეიფზე, ზოგჯერ „მთვარეზე“ და უფრო მეტად კი „საქგზატრანსის“ და ადგილობრივი საბჭოების „ნაყოფიერ“ მუშაობაზე.

საშურს (ხაშური).

**ჰე, მიიღე ნიანგოჯან,
ეს წერილი საშურისა
ტყავს აცილებს გამვლელ მგზავრებს
მეზუფეტე ხაშურისა.**

თქვენი საჩივრის სინამდვილის დასაჯერებლად ჩვენ, ხაშურის რკ. გზის ბუფეტში არსებულ სპეკულიაციის შესახებ მეორე მასალაც მოგვივიდა, რომლითაც ნიანგოჯანი, — ამხანაგი ნიანხური გვატყობინებს:

„ნახევარ ბოთლ ლიმონათში რომელიც 50 კაპიკზე მეტი მაინც არ უნდა ღირდეს, რვა აბაზს გვახდევინებენ და თან იძახიან: — თქვენი ხათრისთვის, თორემ სხვაზე ორი მანეთი ღირსო.“

„ნიანგი“ აფრთხილებს ხაშურის ბუფეტის მესვეურს: — „თუ ის აქამდე არხეინად დასეირნობს“, — მახი ხათრისთვის, თორემ ასეთი სპეკულიანტური მოქმედება სხვისათვის გამსახლის „კაბინეტის“ ხუთმეტრიან ფართობად ღირს.

არმანს (ზესტაფონი) იწერებით:

ნოქარი მოშიაშვილი ფართალს ნაცნობებს აძლევსო.

სამაგიეროდ მოშიაშვილი ჩანგლის წვერს „უცნობიდან“ მიიღებს, — გვერდების სიფათში.

დამწეხებს (თბილისი) მივესალმებით თქვენს სიმპატიურ განზრახვას მწერლობაში „შესვლის“ შესახებ: მწერლობა უდიდესი საქმეა, მხოლოდ ცოტა დაგვიანებით დაგიწყიათ ეს საქმე. თქვენ, როგორც გავს ნახევარი გზა გავილიათ, ჩვენი გამოანგარიშებით თქვენ 50 წლის მაინც იქნებით, რადგანაც საბჭოთა მოქალაქის სიცოცხლისათვის მინიმუმი უნდა ვიანგარიშოთ ასი წელი, თუ შეხედვლობაში მივიღებთ აქვე მოთავსებულ თქვენს პირველ ლექსს დასაწყისი თქვენი „მწერლობაში შესვლისა“ უნუგემოდ უნდა ჩაითვალოს.

გავიარე ნახევარი გზა, — ეხლა ვიღებ ხელში კალამსა, დღემდის მე არ ვყოფილვარ მზად, დღეს კი დავადექ ამ გზასა მე არ გეჯიბრები შოთასა არც აკაკის და ილიასა

დღევანდელ პოეტებს კი ჩემ ნაწერებით გავაკვირებ და დაუბნევ კჟუასა..

ჩვენი რჩევა იქნება პატივცემულო დამწყებო სხვა გზა აირჩიოთ, ვინემ მწერლობის.

ჰანწილს (ქუთაისი) ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს, რომ ქუთაისში ქეიფის ტემპები გავრდილია, ქუთაისი ისტორიულად მოქეიფე ქალაქი იყო. თქვენ ფაქტი მოგყავს ვინმე დ-ძის შესახებ, რომელიც თურმე ხუთ კვარტ ღვინოს ისე დაღვეს, რომ „ბანდალსაც“ არ იზამს. ერთ ადგილას თქვენ მოწამეც ყოფილხართ მისი ასეთი „გამარჯვებისა“. თქვენი ლექსიდან რომლის ნაწყვეტს გიბეჭდავთ, ნათლად სჩანს, რომ თქვენ არა თუ მოწამე, არამედ მონაწილეც კი უნდა იყო გ-ი-ძის ღვინის სმაში.

**ქუთაისში ამ ბოლო დროს
ქეიფია ხშირი
ქუჩებში ველარ გაივლი
არ შეგემთხვეს ჭირი,
ისე როგორც მე შემემთხვა, —
დ-ძე შემხვდა გზაში
მომვარდა და „შემიკურთხა“
და გამარტყა ყბაში.
მომამაძა, რომ „ჩაცეცხლე“
გადიხადე მალე,
ხუთი კვარტის ნახევარი
ხელში ჩამითვალე. (და სხვა).**

თქვენ, როგორც ყანწყელს, გეპატივებთ „ჩაცეცხლა“, მაგრამ ხუთი კვარტი და მისი ნახევარი მაინც უნდა გადაიხადოთ.

განმარტებთ: „ნიანგის“ № 7-8, 4 გვერდზე მოთავსებულ მოთხრობის (უცნაური გასვენება) დასასრულში გამოტოვებული ავტორის გვარი: რ. გვამბაძე.

5 205



იაკონელ გენერალ მათრახიტოს ტრიუმფალური შესვლა ჩინეთში.